საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "26" 11 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1672/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 7 ნოემბერს N 74675/03 განაცხადით სპარტაკ უღრელიძემ (მის: გლდანის რაიონი, პირველი მიკრო, კორპ.21 ბინა 3) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „სამეფო PREMIUM BRAND SAMEPO BLUE" (რეგ. N 24315) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „სამეფო PREMIUM BRAND SAMEPO BLUE" (რეგ. N 24315) „საქპატენტში" რეგისტრირებულია 22.11.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 22.11.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 34-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „სამეფო PREMIUM BRAND SAMEPO BLUE" (რეგ. N 24315) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N436), მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 26.11.2013).

ჭეშმარიტია ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
"26" 11 2013 წ.
ხელმოწერა

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; სპარტაკ უღრელიძეს (მის: გლდანის რაიონი, პირველი მიკრო, კორპ.21 ბინა 3, თბილისი)

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

რეგ. N 24315

მფლობელი: ულრელიძე სპარტაკ

მისამართი: გლდანის რაიონი, I მიკრორაიონი, კორპ.21, ბინა 3, 0167, თბილისი, საქართველო

კლასი: 34 - თამბაქო, მწეველთა საკუთნო, ასანთი.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

რეგ. N 24314

მფლობელი: უღრელიძე სპარტაკ

მისამართი: გლდანის რაიონი, I მიკრორაიონი, კორპ.21, ბინა 3, 0167, თბილისი, საქართველო

კლასი: 34 - თამბაქო, მწეველთა საკუთნო, ასანთი.